ხუთი წლის შემდეგ

მოსკოვი. სპორტკომპლექს “ოლიმპიისკის” დახურული სტადიონი. 25 აპრილი. 25 000 მაყურებელი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

“სპარტაკი”: დასაევი, სიდოროვი, ბ. კუზნეცოვი, კაიუმოვი, ბუბნოვი, შავლო, ე. კუზნეცოვი, მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

“დინამო”: გაბელია, მიქაბერიძე, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, მახარაძე, შენგელია, მესხი.

46–ე წთ. შენგელიას ნაცვლად – ცაავა, 70–ე წთ. მახარაძის ნაცვლად – ფრიდონაშვილი.

მსაჯი: ვიქტორ აბგოლცი (ალმა–ათა).

კარში დარტყმა – 28:7 (11:4), ზუსტი დარტყმა 7:3 (4:1), საჯარიმო მოედნიდან – 9:2 (3:1).

კუთხური: 5:2 (2:2).

დაჯარიმდნენ: მოსკოველები 10 (3), თბილისელები 12 (5).

დუბლიორები: 6:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა თეთრაულმა.

მატჩი ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო – მასპინძლები უტევდნენ, სტუმრები კი თავს იცავდნენ. მთელი პირველი ტაიმის მანძილზე დასაევს მხოლოდ ერთხელ მოუხდა თამაშში ჩარევა – არზიანის მიერ 25 მეტრიდან დარტყმულ ბურთს გადაეღობა. მოსკოველებს ბევრჯერ მიეცათ მეტოქის კარის აღების შესაძლებლობა. რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს როდიონოვმა, კაიუმოვმა და სიდოროვმა, მაგრამ ხან გაბელია თამაშობდა შესანიშნავად, ხან კი მასპინძელთა თავდამსხმელები სცოდავდნენ. შესვენებამდე ყველაზე მეტად მაინც ორი მომენტი დაგვამახსოვრდა: 34–ე წუთზე გავრილოვმა ზუსტი პასით მეკარის პირისპირ გაიყვანა ევგენი კუზნეცოვი, მაგრამ გაბელიამ იმარჯვა, ერთი წუთის შემდეგ კი ისევ ჩვენმა მეკარემ უვნებელყო შავლოს, გავრილოვისა და სიდოროვის მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია.

მეორე ტაიმში შენგელია ცაავამ შეცვალა და, უნდა ითქვას, გამოაცოცხლა კიდეც დინამოელთა თამაში. მისი დიდი დამსახურება იყო ის, რომ ერთ მონაკვეთში თბილისელებმა მდგომარეობა გამოასწორეს და რამდენჯერმე საკმაოდ სახიფათოდაც შეუტიეს მეტოქის კარს. 55–ე წუთზე ცაავამ კარგად გაიყვანა გარღვევაზე მესხი, რომელმაც მარჯვენა ფეხით ვერ შეძლო ბურთის დამორჩილება, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ დინამოელთა ნახევარმცველმა თავად მოსინჯა დასაევის საიმედოობა – 20 მეტრიდან მის მიერ დარტყმული ბურთი მეკარემ ლამაზი ნახტომით აიღო. თუმცა მანამდე აშკარად საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა მასპინძლებმა – ჯერ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ევგენი კუზნეცოვს ბურთზე ფეხი აუცდა, შემდეგ კი ჩერენკოვმა 6–7 მეტრიდან მეტად არაზუსტად დაარტყა. მალე ისევ გადავურჩით გოლს – ევგენი კუზნეცოვმა კვლავ დაასწრო ჩვენს მცველებს და თავით ძლიერად დაარტყა. ბურთი ზედა ძელს მოხვდა. სახიფათო მომენტები შემდეგაც მრავლად იქმნებოდა სტუმართა კართან. ყველას ჩამოთვლას არ შევუდგებით. მხოლოდ ერთს გამოვყოფთ – 79–ე წუთზე გაბელიას კარი ისევ ძელმა იხსნა – როდიონოვის უძლიერეს დარტყმაზე მეკარემ რეაგირებაც ვერ მოასწრო.

ვერ ვიტყვით, რომ თბილისელთა თამაშმა დაგვაკმაყოფილა, მაგრამ ხელოვნური ბალახი მეტისმეტად მკაცრი განსჯის უფლებას არ გვაძლევს. გარდა

ამისა, 1980 წლიდან თბილისის “დინამომ” პირველად შეძლო მოსკოვის “სპარტაკთან” მისსავე მოედანზე ქულის მოპოვება და ესეც უთუოდ ანგარიშგასაწევია. მასპინძელთა თამაში კი, ჩემი აზრით, მოკლებული იყო ჩვეულ სისწრაფეს, რამაც მატჩის საბოლოო შედეგზეც იმოქმედა.

დავით კაკაბაძე (“ლელო”, სპეც. კორ.), მოსკოვი.
“ლელო”, 27 აპრილი, 1985 წ.